ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3026351

ნომერი: AR1466644

თარიღი : 26.12.2016

გაცემის თარიღი : 03.01.2017

გაცნობის თარიღი : 04.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N39 / ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , კვარტალი X ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ხავთასი პ/ნ 35001009271
- ქ.რუსთავი. 21 მიკრო რაიონი. სახლი 15 ოთახი 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის №3001420 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016

წლის 26 დეკემბრის №AR1466644 განაცხადით მომართა მამუკა ხავთასმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის №3001420 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის №3001420 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა №39 / ქ. თბილისში, დასახლება თემქა, X კვარტალში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.03.002.037), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა, კერძოდ ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობის ნაცვლად 4982.1 კვ.მ.-ისა 4971.3 კვ.მ.-ის დაფიქსირება, ხოლო დამხმარე ფართობის ნაცვლად 148 კვ.მ.-ისა 137,2 კვ.მ.-ის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განაცხადის, დოკუმენტაციისა და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის №3001420 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობი დაფიქსირდეს 4971.3 კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართობი დაფიქსირდეს 137,2 კვ.მ. სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის №3001420 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის №3001420 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.